BPN
Business Professionals Network

ძლიერი მეწარმეობა საქართველოში

Nr. 1 / 2017

საინფორმაციო ბროშურის ამ გამოცემაში იხილავთ:

- BPN -ის პირველი ნაბიჯები საქართველოში
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ონლაინ სესხები ქართულ ბიზნეს რეალობაში
- ბიზნეს აკადემია

დანიელ მათერი,

BPN Georgia-ს გენერალური დირექტორი

BPN-ის პირველი ნაბიჯები საქართველოში

მოგესალმებით BPN Georgia - ს ნიუსლეთერის პირველი გამოცემით.
BPN Georgia საქართველოში დაარსდა 2016 წლის მაისში.

ჩვენ საწყის ეტაპზე აქცენტი ადგილობრივი გუნდის შექმნაზე გავაკეთეთ. ჩვენი გუნდი წარმოდგენილია ორი მოტივირებული და პროფესიულად მაღალკომპეტენტური კადრით, ნინო მამადაშვილით და მეგი მაისურაძით. მათ გასული თვეების განმავლობაში სწრაფად აუღეს ალღო BPN Georgia - ს საქმიანობის სპეციფიკას.

ხანგრძლივი დროის ინვესტირებისა და დაძაბული მუშაობის შედეგად მათ თარგმნეს და ადგილობრივ მოცემულობებს მოარგეს BPN-ის სასემინარო მასალები.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა ჩვენი პირველი სემინარები და ვორქშოფები.

ჩვენს მიერ დღემდე ჩატარებული 5 ვორქშოფის ფარგლებში ქართველმა მეწარმეებმა შეისწავლეს ბიზნეს გეგმის შედგენა და ბიზნეს იდეების სისტემაში მოყვანა. მათი შემოწმება და ფინანსური საკითხების დაგეგმვა.

ვორქშოფზე თემით „ბუღალტერია“ მონაწილეები დაეუფლნენ როგორც ბიზნესის კეთების საწყის ეტაპზე მოგება ზარალის გაანგარიშების ცოდნას, ასევე სწორი და დროული ბუღალტერიის წარმოების პრინციპებს.

2017 წლის თებერვალში ჩატარებული ბიზნესის ადმინისტრირების სემინარის მიზანი იყო მეწარმეებისთვის დაენახებინა მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები, განევითარებინა მათში ბიზნეს ეთიკა, გამოემუშავებინა სხარტი ბიზნეს გეგმის შედგენის და საკუთარი საწარმოს დამაჯერებლად პრეზენტაციის უნარი.

ჩვენი სემინარი ,,დროის მენეჯმენტი“ ჩატარდა ორჯერ, 2016 წლის მაისსა და სექტემბერში. ამ სემინარებით დამსწრე საზოგადოებამ გააცნობიერა, რამდენი დროის ქურდი გვახვევია გარს და როგორ უნდა მოხერხდეს მათი განდევნა და დღის უკეთ ორგანიზება.

ინდივიდუალური გასაუბრებების და კონსულტაციების შემდეგ უამრავმა მეწარმემ BPN-თან კონტრაქტის საფუძველზე ხანგრძლივი თანამშრომლობის სურვილი

გამოთქვა. მათ სურთ, რომ BPN-ი მათ მხარში დაუდგეს კონსულტაციებით ბიზნეს და ფინანსური გეგმის შედგენის და ბიზნეს იდეების განხორციელების პროცეს-ში. BPN-ის გუნდი მათ ასევე დაეხმარება მთელი რიგი სამეწარმეო საკითხების გარკვევასა და სხვადასხვა გამოწვევების გადალახვაში.

ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალში BPN-ი კიდევ

უფრო მეტ მეწარმეს აღჭურვავს მათი პროდუქტებისა თუ სერვისის განვითარებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით, ცოდნით იმისთვის, რომ მათი ბიზნეს საქმიანობა იყოს რელევანტური და მდგრადი.

BPN-ში და ქვეყანაში მიმდინარე აქტუალური სამეწარმეო საკითხების შესახებ ინფორმაციას წელიწადში 3-4 ჯერ მოგაწვდით ჩვენი ნიუსლეთერების საშუალებით.

დანიელ მათერი.

წარმატებებს გისურვებთ!

BPN Georgia -ს გენერალური დირექტორი.

ახალი პროგრამის ხელმძღვანელი

გასულ წელს BPN-მა ამჯერად საქართველოში მეწარმეთა ხელშეწყობის პროგრამა წამოიწყო. პროგრამის შვეიცარიელ ხელმძღვანელს, ჟულიენ ბრიოდს, პირადი მიზეზების გამო პოსტის დატოვება მოუწია. მე ბედნიერი ვარ, რომ სწრაფად შევძელით მისი ჩანაცვლება კომპეტენტური კადრით, დანიელ მათერით, რომელსაც საერთაშორისო პროექტებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. საქართველოში BPN - ის მუშაობის ხარისხზე ეს საკადრო ცვლილება გავლენას არ იქონიებს. დანიელი ჩემთან ერთად გაუძღვება პროგრამას და იზრუნებს მის სტაბილურ ფუნქციონირებაზე. წარმატებებს ვუსურვებ დანიელს.

ჰანს ვილჰელმი

BPN - ის საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელი

ცნობისთვის

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის, თუმცა წვდომა ბიზნესის დაფინანსებაზე საგრძნობლად შეზღუდულია.

სესხები მცირე და საშუალო მეწარმეებზე შეზღუდულად გაიცემა და ქონებით უზრუნველყოფას საჭიროებს, რის გამოც ბევრმა ადამიანმა დაკარგა კუთვნილი ქონება და ამიტომ თავს არიდებს ბანკებთან ურთიერთობას. სახელმწიფოს აქვს სხვადასხვა საგრანტო პროგრამები, მაგრამ ცოტას აქვს წვდომა მათზე. შესაბამისად ჩნდება ფულის უფრო იოლი გზით მიღების მოთხოვნილება, რომელსაც გარკვეულწილად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ონლაინ სესხები უკმაყოფილებს მცირე ბიზნესის სექტორში დაკავებულ პირებს. ამ ფაქტზე მეტყველებს ბოლო წლებში მომრავლებული მიკრო საფინანსო ორგანიზაციები და ონლაინ რეჟიმში სესხის გამცემი ინსტიტუტები.

ხელმისაწვდომი თანხის ოდენობა ონლაინ საფინანსო ორგანიზაციებში მართალია მცირეა ბიზნესისთვის, მაგრამ ეს თანხა რიგ შემთხვევაში საკმარისია დამწყები ან მცირე ბიზნესმენისთვის არსებული ხელსაწყოების თუ ინფრასტრუქტურის შესაკეთებლად, სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად ან ელემენტარული აპარატურის შესაძენად.

ონლაინ-საკრედიტო ორგანიზაციები საქართველოში 2014 წელს გამოჩნდა. მათი კლიენტები მოკლევადიან სესხებს ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე, მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე იღებენ და სესხი სულ რაღაც 10-15 წუთში უმტკიცდებათ, მაგრამ ცოტა ადამიანი თუ იაზრებს იმ საფრთხეებს, რაც ამ პროცედურების მიღმა იმალება.

ონლაინ სესხები მოცულობით მცირეა, ამიტომ მასზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთები ერთი შეხედვით არც ისე დიდი ჩანს და თვეში 5 დან 15 % მდე მერყეობს, თუმცა პროცენტულად რომ ვიანგარიშოთ, წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ყოველ გადაცილებაზე დაკისრებულ ჯარიმებთან ერთად 700%-ს აღწევს, ისე, რომ არ ხდება სესხის გადანაწილება ან სხვა სახის შეღავათების დაწესება, რაც მცირე მეწარმეს კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აყენებს და წამოწყებული ბიზნეს საქმიანობის შეჩერებას აიძულებს, ეს კი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ გრძელვადიანი საბანკო სესხების მიღების დაბალი ალბათობა, ფინანსური რესურსების მუდმივი საჭიროება, მრავალი გაუთვალისწინებელი შემთხვევა ბიზნესის კეთების საწყის ეტაპზე, ცნობიერების დაბალი დონე და ონლაინ საკრედიტო კომპანიების აგრესიული მარკეტინგი მაინც უამრავ მცირე მეწარმეს აბამს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა თუ ონლაინ გამსესხებელთა „მახეში“. ამიტომ ბოლო პერიოდში აქტიურ ფაზაში შევიდა ონლაინ სესხების

საწინააღმდეგო კამპანია. ონლაინ ორგანიზაციების ერთმნიშვნელოვნად აკრძალვა მართალია ვერ მოხერხდა, მაგრამ 2017 წლის იანვრიდან ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, აღნიშნული ფაქტორი ბევრად უფრო გაუმჯობესდა მომხმარებლების სასარგებლოდ და სამართლებრივ ჩარჩოში მოექცა. დაწესდა ლიმიტი სესხის საკომისიოს ოდენობაზე, სწრაფი სესხების კომპანიებს ამიერიდან აღარ შეუძლიათ გასცენ სესხები, რომელთა ეფექტური პროცენტი 100%-ზე მეტია, მაგრამ ამ დადებითი ძვრების მიუხედავად სესხით გაწამებული მეწარმეების რიცხვი მაინც საგრძნობლად დიდია.

BPN Georgia მიესალმება საქართველოში მეწარმეობის განვითარებას და ნებისმიერ მეწარმეს დაეხმარება ტრენინგებისა და პერსონალური ქოუჩინგის მეშვეობით:

გულდასმით გადაამოწმოს კრედიტებისა და ინვესტიციების საჭიროება,

სწორი ფინანსური დაგეგმვით თავიდან აიცილოს დამატებითი კრედიტების აუცილებლობა,

არ შეიძინოს ისეთი დანადგარები, რომლებიც ფუნქციიდან გამომდინარე არც ისე აუცილებელია საწარმოში, არამედ შემოიფარგლოს მხოლოდ საჭირო ხელსაწყოებით, ინვესტიციები განახორციელოს არა ინტენსიურად და ყველა მიმართულებით, არამედ მიზანმიმართულად.

„არსებობს მხოლოდ ერთადერთი რამ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე განათლება. ესაა გაუნათლებლობა.“

ჯონ კენედი

ბიზნეს აკადემია

სემინარი ფინანსური მენეჯმენტი
17.07.17 - 20.07.17

სემინარი გაგაცნობთ საწარმოს ფინანსური მართვის მნიშვნელოვან საკითხებს. უნდა და არის მონაცემებზე დაყრდნობით თქვენ სწავლობთ საწარმოს ოპტიმიზაციას და გაიაზრებთ ამორტიზაციის და სარეზერვო დანაზოგის მნიშვნელობას. საწარმოს მართვის კოკპიტი შეგიქმნით წარმოდგენას საწარმოში არსებულ ციფრებზე.

სემინარი დროის მენეჯმენტი
06.09.17 - 07.09.17

დროის მენეჯმენტის სემინარზე თქვენ სწავლობთ დროის მართვას ისე, რომ არ იყოთ მართული მის მიერ. სემინარი გეხმარებათ პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში და თქვენი მიზნის შესაბამისად პირადი სამუშაო დროის სწორად დაგეგმვაში. თქვენ სწავლობთ დროის ქურდებთან გამკლავებას გრძელვადიანად.

სემინარი ბიზნესის ადმინისტრირება
12.12.17 - 16.12.17

ბიზნესის ადმინისტრირების სემინარზე თქვენ ხვდებით, როგორ უნდა გახდეს ხელოსანი მეწარმე. თქვენ სწავლობთ ბიზნეს გეგმის შევსებას, რომელიც ბიზნესის მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. სემინარზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ასევე ბიზნეს ეთიკის საკითხებს.

რეგისტრაცია საიტზე www.bpngeorgia.ge ან ტელ. 599 87 93 41

BPN Georgia, გ. ახვლედიანი ქ. 5
0108 თბილისი
032 2 92 20 26, 599 87 93 41
info@bpngeorgia.ge

BPN Business Professionals Network

www.bpngeorgia.ge